

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №5



თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი, 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი, 3. პროფ. მაკა სალხინაშვილი, 4. პროფ. არჩილ ლორია, 5. პროფ. ლელა ნადიბაიძე, 6. პროფ. ეკა ზარნაძე, 7. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე, 8. ასოც. პროფ. თამარ ლალიაშვილი, 9. ასოც. პროფ. უფრ. 10. მასწ. ნინო ნიჭარაძე, 11. უფრ. მასწ. მაცვალა კახაძე, 12. უფრ. მასწ. ლალი გაბისონია, 13. სტუდენტი ნატა რუაძე, 14. სტუდენტი ლაშა სალბიშვილი

სხდომის თავმჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევა (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ თპუ რექტორის 2011 წლის 14 თებერვლის №09/06 ბრძანების საფუძველზე დანიშნული იყო სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. სამართლის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული იყო ერთი კანდიდატი, თპუ პროფესორი კახი ყურაშვილი.

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ზემოაღნიშნული კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები და მათზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა არჩევნების პირობებთან; კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია.

მომხსენებელმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ ფარული კენჭისყრით გამოეხატათ საკუთარი ნება, პროფ. კ. ყურაშვილის სამართლის ფაკულტეტის დეკანის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

გამართა კენჭისყრა: დარიგდა ბიულეტენები; არცერთი ბიულეტენი არ გაუქმებულა; კახი ყურაშვილმა თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან, სხვა ყველა ხმა დადებითი გამოდგა.

აზრი გამოთქვას: პროფ. ლ. ნადიბაიძემ და უფრ. მასწ. მ. კახაძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. არჩეულ იქნას სამართლის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე თპუ კახი ყურაშვილი 4 წლის ვადით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

ე. ირემაძე

